



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში

აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

ნოე ქაშიბაძე

29 აგვისტო 2017 წელი

სსიპ სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი

სსიპ სოხუმის მოზარდ მაცურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი „თეთრი
ტალღა“

სსიპ აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი „აფხაზეთი“

სსიპ გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელა

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში N40/36

2015 წლის 1 იანვარი - 2017 წლის 1 იანვარი

შინაარსი

გამოყენებული შემოკლებანი.....	3
შემაჯამებელი მიმოხილვა	3
რეკომენდაციები	6
აუდიტის მიზანი.....	7
აუდიტის მასშტაბი	7
აუდიტის საგანი	8
კრიტერიუმები	8
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....	10
აუდიტორის პასუხისმგებლობა.....	10
აუდიტის ანგარიშის ფორმა.....	11
ორგანიზაციის მოკლე მიმოხილვა.....	11
1. შრომის ანაზღაურება	14
2. სამივლინებო ხარჯები.....	16
3. პირობითი ვალდებულებები.....	18
სხვა დარღვევა/ნაკლოვანებები	19
4. სახელმწიფო შესყიდვები	19
5. ხელფასის დარიცხვის საფუძვლები.....	22
6. ინვენტარიზაციის შედეგები.....	23
7. დოკუმენტაციის აღრიცხვა და ორგანიზება	24
8. ფინანსური ანგარიშგება	26
7. წინა წლებში ჩატარებული აუდიტებით გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსწორების მდგომარეობა	30

გამოყენებული შემოკლებანი

სსიპ სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი - სსიპ „გამსახურდიას თეატრი“;

სსიპ სოხუმის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის „თეთრი ტალღა“ - სსიპ „თეთრი ტალღა“;

სსიპ აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის „აფხაზეთი“ - სსიპ „ცეკვის ანსამბლი“;

სსიპ გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელა - სსიპ „საგუნდო კაპელა“;

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო - სამინისტრო.

შემაჯამებელი მიმოხილვა

1. სსიპ „ცეკვის ანსამბლის“ წერილით აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს შეთანხმების მიზნით წარედგინა 2016 წლის სამტატო განრიგი. აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს საპასუხო წერილით ანსამბლს ეცნობა, რომ აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო არ ეთანხმებოდა ანსამბლის მიერ წარმოდგენილ სამტატო ნუსხის პროექტს, ვინაიდან, პროექტის მიხედვით გაზრდილი იყო დირიჟორის, ქორეოგრაფისა და კადრების ინსპექტორის შრომის ანაზღაურება, ასევე დამატებული იყო მთავარი დირიჟორისა და მთავარი ქორეოგრაფის თანამდებობები შრომის ანაზღაურების მაღალი განაკვეთებით, რაც გავლენას იქონიებდა ბიუჯეტის მოცულობაზე. შესაბამისად ანსამბლს ეთხოვა აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს შენიშვნების გათვალისწინება და კორექტირებული სამტატო განრიგის წარმოდგენა. თუმცა, ანსამბლს არანაირი კორექტირება არ განუხორციელებია და სამინისტროში შესათანხმებლად უცვლელად წარადგინა 2016 წლის სამტატო განრიგის პროექტი. ამასთან, ანსამბლის მიერ 2016 წლის სამტატო ნუსხის პროექტზე მიღებული უარი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ზემდგომ სახელმწიფო ორგანოში ან/და სასამართლოში არ გასაჩივრებულა. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ 2016 წლის სამტატო განრიგის პროექტზე არ არსებობდა თანხმობა, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს მოთხოვნის გაუთვალისწინებლად და მოქმედი კანონმდებლობის შეუსაბამოდ, 2016 წელს დირიჟორზე, ქორეოგრაფზე და კადრების ინსპექტორზე მაინც გაიცა ხელფასები გაზრდილი ოდენობით, ხოლო მთავარი დირიჟორი და მთავარი ქორეოგრაფი აყვანილ იქნენ აღნიშნულ თანამდებობებზე და ჩაერიცხათ 2016 წლის სამტატო ნუსხის პროექტით გათვალისწინებული თანხები (სხვაობა 27,300.00 ლარი) „შრომის ანაზღაურების“ მუხლიდან. 2015 წლის (შეთანხმებული-მოქმედი) სამტატო განრიგით გათვალისწინებულ მოსამსახურეთა ნაწილს (პედაგოგ-რეპეტიტორ - 2, მუსიკოსი

- 4 და მსახიობი - 20) ხელფასები ჩაერიცხათ „საქონელი და მომსახურების“ მუხლის „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების“ ქვემუხლიდან.

ხელფასის გაანგარიშება ხდებოდა საშტატო განრიგის, შრომითი ხელშეკრულებებისა და თანამშრომელთა თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ ბრძანებების საფუძველზე, სამსახურში თანამშრომელთა ფაქტიური ყოფნის შესაბამისად. თუმცა, ორგანიზაციის დოკუმენტბრუნვის შესწავლით დადგინდა, რომ დადებულ შრომით ხელშეკრულებებსა და გამოცემულ ბრძანებებში არ იყო დაკონკრეტებული მოსამსახურეების საშტატო თუ შტატგარეშე მომუშავეის სტატუსი და არც რაიმე სახის სხვა ტიპის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი დოკუმენტი არ გამოცემულა სადაც განსაზღვრული იქნებოდა მსგავსი სტატუსი.

ანსამბლის მიერ 2015 და 2016 წლებში სამუშაო დროის გამოყენების ყოველთვიური აღრიცხვის მიზნით არ გამოყენებოდა სპეციალური ტექნიკური საშუალება, არ იყო დადგენილი და შესაბამისად ნაწარმოები სამუშაოზე გამოცხადების აღრიცხვის (წასვლა-მოსვლის) ჟურნალი და სამუშაო დროის გამოყენების და ხელფასის გაანგარიშების ტაბელი. (გვ. 15);

2. 2015 წელს სსიპ „ცეკვის ანსამბლის“ 12 თანამშრომელი მივლინებული იყო ჩინეთში „MISS Chinese Internacional Pageant 2015“-ის საფინანსო ღონისძიებაში მონაწილეობის მიღების მიზნით. მივლინებული პირები საცხოვრებელითა და კვებით უზრუნველყოფილი იყვნენ მომწვევი მხარის მიერ. დადგენილი კანონმდებლობით მოსამსახურეებისათვის უნდა ანაზღაურებულიყო სამივლინებო თანხის სადღეღამისო ნორმის 30%, რაც შეადგენდა 9 აშშ დოლარს (21.54 ლარს). გასაცემმა თანხამ შეადგინა - 2,584.44 ლარი. ორგანიზაციის მიერ ფინანსური სახსრების უქონლობის გამო ეს თანხა ზემოაღნიშნულ თანამშრომლებზე არ გაცემულა და არც ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულა ვალდებულებად (გვ. 17);

3. 2015 წლის მაისში სსიპ „საგუნდო კაპელამ“ მიიღო მოწვევა იტალიის ქ. რიმინიში „Internacional Choir Competition 2015“-ის, ხოლო ივლისში ქ. ლუკაში „Puccini Internacional Choir Competition“-ის საერთაშორისო კონკურსებში მონაწილეობის მისაღებად. სსიპ „საგუნდო კაპელის“ 30 თანამშრომლის იტალიაში მივლინების შესახებ ბრძანების საფუძველზე, 2015 წლის სექტემბერში გაფორმდა ხელშეკრულება "შპს ვიზა მენეჯმენტ სერვის ჯორჯიასთან" მივლინებული თანამშრომლების სავიზო დოკუმენტაციის იტალიის რესპუბლიკის საკონსულოში წარდგენის მომსახურებისათვის, რისთვისაც გადახდილ იქნა 2,250.00 ლარი. ოცდაათივე თანამშრომელზე სავიზო მოთხოვნა დაკმაყოფილდა, თუმცა აღნიშნული მივლინება იტალიაში ვერ შედგა, რადგან კაპელის მიერ ვერ მოხერხდა მივლინებული თანამშრომლების დაბინავებისათვის აუცილებელი სამივლინებო თანხების მოძიება. კერძოდ, სავიზო ხარჯების გაწევისა და ვიზების მიღების შემდეგ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში და ქ. თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრში დაფინანსების მოსაპოვებლად წარდგენილ განაცხადებზე, მიღებულ იქნა უარი. ფაქტობრივად, კაპელის მიერ საკუთარი შემოსავლებით სავიზო დოკუმენტაციის საკონსულოში წარდგენის მომსახურებისათვის გადახდილი თანხა - 2,250.00 ლარის ოდენობით (სხვა აუცილებელი დაფინანსების არქონის პირობებში),

მიუთითებს სახსრების არაეფექტიან და არაპროდუქტიულ განკარგვაზე და დაგეგმვის ეტაპზე ორგანიზაციული პროცესების მართვაში არსებულ პრობლემებზე (გვ. 18);

4. 2015 წლის ივნისში დასრულდა სსიპ „თეთრ ტალღას“ და განთავისუფლებულ 2 თანამშრომელს შორის 2014 წელს დაწყებული სასამართლო დავა. მიუხედავად იმისა, რომ თეატრისთვის ცნობილი იყო აღნიშნული სასამართლო პროცესის ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე შესაძლო ზეგავლენის შესახებ, ორგანიზაციის მიერ რისკების სწორად განსაზღვრა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვა (პირობით ვალდებულებებად) არ მომხდარა.

სასამართლო გადაწყვეტილებით, სსიპ „თეთრ ტალღას“ დაეკისრა მოსარჩელებისათვის 9 თვის განაცდური ხელფასის სახით თანხის ჩარიცხვა 2015 წლის 25 მაისამდე ჯამში - 8,850.00 ლარის ოდენობით. წარმოდგენილი ინფორმაციით სახსრების უქონლობის გამო თეატრის მიერ ვალდებულებების დაფარვა დადგენილ ვადაში ვერ მოხერხდა. 2015 წლის 11 სექტემბერს თეატრს აღსრულების ეროვნული ბიუროს სპეციალური სამსახურის წერილით მოუვიდა შეტყობინება გადაწყვეტილების შესრულების შესახებ, რომლითაც ორგანიზაციას დაეკისრა სასამართლო გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება და თანხის ჩარიცხვა შესაბამის ანგარიშზე დაკისრებული საურავების გათვალისწინებით, რაც ჯამში შეადგენდა - 9,148.50 ლარს. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სახსრების უქონლობის გამო თეატრმა დავალიანების დასაფარად მაკონტროლებელთან შეთანხმებით აიღო სესხი 9,000.00 ლარის ოდენობით (06.11.2015 წ. სასესხო ხელშეკრულება მოქ. მ. ყურაშვილთან უპროცენტო სესხის აღებაზე). აუდიტის პერიოდში აღებული სესხიდან თანხები საერთოდ არ დაფარულა და იგი ირიცხებოდა, როგორც 9,000.00 ლარის გრძელვადიანი ვალდებულება. ამდენად, სსიპ „თეთრი ტალღის“ ხელმძღვანელობის შეუსაბამო გადაწყვეტილებით ფაქტობრივად თანამშრომელთა უკანონო განთავისუფლებამ და რისკების არასწორად შეფასებამ გამოიწვია დამატებითი (გაუთვალისწინებელი) ხარჯები, რომლებმაც ზეგავლენა მოახდინა ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე, რაც მიუთითებს ფინანსური სახსრების არაეფექტიან და არაპროდუქტიულ განკარგვაზე (გვ. 19);

5. სსიპ „გამსახურდიას თეატრის“ მიერ 2015 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა ატვირთული იყო დაგვიანებით (გვ. 20);

6. სსიპ „თეთრი ტალღის“ მიერ 2015 და 2016 წლების სახელმწიფო შესყიდვების გეგმები ატვირთული იყო დაგვიანებით. ასევე, 2015 წელს გაფორმებული 54 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების დადებისას 43 შემთხვევაში, ხოლო 2016 წელს 61 ხელშეკრულებიდან 5 შემთხვევაში არ იყო გათვალისწინებული ის გარემოება, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა სულ მცირე 30 დღით უნდა აღემატებოდეს საქონლის მიწოდების, მომსახურების ან/და სამუშაოს შესრულების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადას. მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული ფაქტებით რაიმე ფინანსური ზარალი არ დამდგარა, ადგილი ჰქონდა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შეუსრულებლობას (გვ. 21);

7. სსიპ „ცეკვის ანსამბლის“ მიერ 2015 და 2016 წლების სახელმწიფო შესყიდვების გეგმები ატვირთული იყო დაგვიანებით. ასევე, შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის CMR მოდულში 2015 წელს და 2016 წელს განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებში, ხელშეკრულების შესრულების/შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ყველა შემთხვევაში ატვირთული იყო დაგვიანებით. 2015 წელს გაფორმებული 21 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების დადებისას 14 შემთხვევაში, ხოლო 2016 წელს 22 ხელშეკრულებიდან 5 შემთხვევაში არ იყო გათვალისწინებული ის გარემოება, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა სულ მცირე 30 დღით უნდა აღემატებოდეს საქონლის მიწოდების, მომსახურების ან/და სამუშაოს შესრულების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადას. მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული ფაქტებით რაიმე ფინანსური ზარალი არ დამდგარა, ადგილი ჰქონდა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შეუსრულებლობას (გვ. 21);

8. სსიპ „საგუნდო კაპელის“ მიერ 2015 და 2016 წლების სახელმწიფო შესყიდვების გეგმები ატვირთული იყო დაგვიანებით. ასევე, შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის CMR მოდულში 2015 წელს და 2016 წელს განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებში, ხელშეკრულების შესრულების/შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ყველა შემთხვევაში ატვირთული იყო დაგვიანებით. ამასთან, 2015 წელს გაფორმებული 15 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების დადებისას 6 შემთხვევაში, არ იყო გათვალისწინებული ის გარემოება, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა სულ მცირე 30 დღით უნდა აღემატებოდეს საქონლის მიწოდების, მომსახურების ან/და სამუშაოს შესრულების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადას. მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული ფაქტებით რაიმე ფინანსური ზარალი არ დამდგარა, ადგილი ჰქონდა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შეუსრულებლობას (გვ. 22).

რეკომენდაციები

1. სსიპ „ცეკვის ანსამბლის“ მოსამსახურეებისათვის შრომის ანაზღაურება განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით - შეთანხმებული საშტატო განრიგისა და საბიუჯეტო კლასიფიკატორის შესაბამისი მუხლების მიხედვით. მართვისა და კონტროლის სისტემის სრულყოფის მიზნით უზრუნველყოფილი იქნას კანონმდებლობით დადგენილი კონტროლის მექანიზმების გამოყენება (გვ. 17);

2. სსიპ „ცეკვის ანსამბლის“ ფინანსურ ანგარიშგებაში სამივლინებო თანხების ვალდებულებად ასახვის შემდგომ, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა უზრუნველსაყოფად განხორციელდეს აღნიშნული თანხების ანაზღაურება (გვ. 18);

3. სსიპ „საგუნდო კაპელის“ ფინანსური სახსრების ეფექტიანად და პროდუქტიულად მართვის მიზნით, არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით დაგეგმვის ეტაპზე განხორციელდეს რისკების ჯეროვანი შეფასება (გვ. 19);

4. სსიპ „თეთრი ტალღის“ გაუთავლისწინებელი ხარჯების თავიდან ასაცილებლად, მოხდეს რისკების სწორად განსაზღვრა და შესაბამისი პირობითი ვალდებულებების ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვა(გვ.20);
5. სსიპ „გამსახურდიას თეატრის“ შესყიდვების გეგმის შესაბამის ელექტრონულ სისტემაში დროულად ატვირთვის უზრუნველსაყოფად განხორციელდეს მონიტორინგისა და კონტროლის სისტემის სრულყოფა(გვ.20);
6. სსიპ „თეთრი ტალღის“ შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში შესაბამისი დოკუმენტაციის დროულად ატვირთვის და ხელშეკრულების მოქმედების ვადის კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად განხორციელდეს მონიტორინგისა და კონტროლის სისტემის სრულყოფა(გვ.21);
7. სსიპ „ცეკვის ანსამბლის“ შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში შესაბამისი დოკუმენტაციის დროულად ატვირთვის და ხელშეკრულების მოქმედების ვადის კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად განხორციელდეს მონიტორინგისა და კონტროლის სისტემის სრულყოფა(გვ.22);
8. სსიპ „საგუნდო კაპელის“ შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში შესაბამისი დოკუმენტაციის დროულად ატვირთვის და ხელშეკრულების მოქმედების ვადის კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად განხორციელდეს მონიტორინგისა და კონტროლის სისტემის სრულყოფა (გვ.22).

აუდიტის მიზანი

სსიპ „გამსახურდიას თეატრის“, სსიპ „თეთრი ტალღის“, სსიპ „ცეკვის ანსამბლის“ და სსიპ „საგუნდო კაპელის“ მიერ 2015 და 2016 წლებში საბიუჯეტო სახსრებისა და მატერიალური ფასეულობების გამოყენებისა და ხარჯვის შესაბამისობის აუდიტის მიზანია:

ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით, იმის შესახებ თუ რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანთან დაკავშირებული ინფორმაცია სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის, აუდიტის მასშტაბიდან გამომდინარე, ინფორმაციის მიწოდება მიზნების, დასკვნების და სადაც შესაფერისია - რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა სსიპ „გამსახურდიას თეატრის“, სსიპ „თეთრი ტალღის“, სსიპ „ცეკვის ანსამბლის“ და სსიპ „საგუნდო კაპელის“ მიერ მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის კუთხით 2015 და 2016 წლებში საბიუჯეტო სახსრებისა და მატერიალური ფასეულობების გამოყენებისა და ხარჯვის მიზნობრიობა:

- 2015 და 2016 წლების ბიუჯეტის პროექტის მომზადება, განხილვა და დამტკიცება;

- 2015 და 2016 წლებში საქმიანობის განსახორციელებლად მიღებული დაფინანსება, მიმდინარე და კაპიტალიზირებული ხარჯები, მატერიალური ფასეულობების გამოყენება და ხარჯვა;
- ნორმატიული აქტებით სსიპ-ებზე დაკისრებული მოვალეობების შესრულების მდგომარეობა;

აუდიტის საგანი

აუდიტის საგნად განისაზღვრა: დაფინანსება (ასიგნებები); არაფინანსური აქტივები (მატერიალური ფასეულობები); დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები; შრომის ანაზღაურების, მივლინების, სატრანსპორტო და წარმომადგენლობითი ხარჯები; განხორციელებული შესყიდვები;

კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

- საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“;
- საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“;
- საქართველოს კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“;
- საქართველოს პერზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულება „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“;
- საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის N231 ბრძანებულება „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 ივლისის №449 დადგენილება „საჯარო დაწესებულებებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 21 დეკემბრის N439 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქცია;

- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №424 ბრძანება „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანება „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქცია;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 30 ივლისის №605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ შესახებ;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 20 სექტემბრის ბრძანება №7 „შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესის დამტკიცების შესახებ“
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანებით დამტკიცებული „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესი“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის ბრძანება №9-ის „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს ბრძანება №13 გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი - „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი - „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2015 და 2016 წლების რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი - „ნორმატიული აქტების შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 13 მარტის დადგენილება - „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის თანხების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის 2012 წლის 12 ნოემბრის №302/მ ბრძანება - საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის დებულების დამტკიცების შესახებ“;

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის 2012 წლის 12 ნოემბრის №306/მ ბრძანება - საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აფხაზეთის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრის „თეთრი ტალღა“ დებულების დამტკიცების შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის 2014 წლის 9 იანვრის №08/მ ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის „აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის“ დებულების დამტკიცების შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2015 წლის 11 მარტის №12 დადგენილება - „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „აფხაზეთის“ დებულების დამტკიცების შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის 2014 წლის 9 იანვრის №09/მ ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელის“ დებულების დამტკიცების შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2016 წლის 25 ივლისის №25 განკარგულებით დამტკიცებული - „ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელის“ დებულება“.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმდაგვარი წარმართვისათვის, რომ გამოირიცხოს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეული არსებითი კანონშეუსაბამოებები.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის (სას) პასუხისმგებლობაა აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება სსიპ-ების მიერ მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის კუთხით 2015 და 2016 წლების საბიუჯეტო სახსრებისა და მატერიალური ფასეულობების გამოყენებისა და ხარჯვის მიზნობრიობის შესახებ. აუდიტი წარმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 4100) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა სსიპ-ების მიერ 2015 და 2016 წლებში საბიუჯეტო სახსრებისა და მატერიალური ფასეულობების გამოყენებისა და ხარჯვის

მიზნობრიობა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

აუდიტის ანგარიშის ფორმა

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში შედგენილია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4100) მოთხოვნების მიხედვით - „ანგარიში ვრცელი ფორმით“. „ანგარიში ვრცელი ფორმით“ გულისხმობს აუდიტის შედეგებისა და გამოვლენილი გარემოებების უფრო დეტალურ განხილვას, რაც ეხმარება აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს საკითხების ყოველმხრივ გაგებასა და მასზე დაყრდნობით ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.

ორგანიზაციის მოკლე მიმოხილვა

სსიპ „გამსახურდიას თეატრი“:

თეატრის ძირითადი მიზნებს, ფუნქციებს და საქმიანობის საგანს წარმოადგენს:

- სპექტაკლების დადგმა;
- თეატრალური ხელოვნების პროპოგანდა და მოსახლეობის ფართო ფენების მხატვრული აღზრდა, ეროვნული თეატრალური ხელოვნების განვითარება.

თეატრის სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო, რომელსაც უფლება აქვს მოითხოვოს კონტროლის განსახორციელებლად საჭირო მასალებისა და ინფორმაციის წარმოდგენა.

თეატრს აქვს ბეჭედი, დამოუკიდებელი ბალანსი, სახაზინო ანგარიში, საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშები საბანკო დაწესებულებებში. თეატრი ბალანსს დასამტკიცებლად წარუდგენს შესაბამის სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოს, ხოლო შემდგომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს.

თეატრის დაფინანსების წყაროებია:

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება;
- სხვა შემოსავლები, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

სსიპ „თეორი ტალღა“:

თეატრის ძირითადი მიზნებს, ფუნქციებს და საქმიანობის საგანს წარმოადგენს:

- სპექტაკლების დადგმა;
- თეატრალური ხელოვნების პროპოგანდა და მოზარდი ახალგაზრდობის მხატვრული აღზრდა, ეროვნული თეატრალური ხელოვნების განვითარება.

თეატრის საქმიანობა ექვემდებარება სახელმწიფო კონტროლს, რაც გულისხმობს მის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტურობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას.

თეატრის სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო.

თეატრს აქვს ბეჭედი, დამოუკიდებელი ბალანსი, სახაზინო ანგარიში, საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშები საბანკო დაწესებულებებში. თეატრი ბალანსს დასამტკიცებლად წარუდგენს შესაბამის სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოს, ხოლო შემდგომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს.

თეატრის დაფინანსების წყაროებია:

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება;
- სხვა შემოსავლები, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

სსიპ „ცეკვის ანსამბლი“:

სსიპ „ცეკვის ანსამბლის“ ძირითადი მიზნებს, ფუნქციებს და საქმიანობის საგანს წარმოადგენს:

- ქართული და აფხაზური ფოლკლორის პოპულარიზაცია;
- საკონცერტო საქმიანობის განხორციელება, როგორც საქართველოში, ასევე, მის ფარგლებს გარეთ.

ანსამბლის სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანო, კანონმდებლობით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში, არის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების და კულტურის სამინისტრო.

ანსამბლს აქვს განცალკევებული ქონება, დამოუკიდებელი ბალანსი, საანგარიშსწორებო, სავალუტო და სხვა სახის ანგარიშები, ბეჭედი საკუთარი დასახელებით, ბლანკი, ემბლემა და საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის დამახასიათებელი სხვა რეკვიზიტები. ანსამბლი ბალანსს დასამტკიცებლად წარუდგენს შესაბამის სახელმწიფო კონტროლის

განმახორციელებელ ორგანოს, ხოლო შემდგომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს.

ანსამბლის დაფინანსების წყაროებია:

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;
- სახელმწიფო შეკვეთის შესრულებიდან მიღებული შემოსავალი;
- ღონისძიებებიდან მიღებული სახსრები;
- ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის ხელშეკრულების საფუძველზე სამუშაოს შესრულებით, ფასიანი მომსახურების გაწევით, შემოქმედებითი შეკვეთებისა და სხვა სამეურნეო-ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავალი;
- საჩუქრად, გრანტისა და შემოწირულობების სახით მიღებული შემოსავალი;
- საქართველოსა და უცხოეთის ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიერ გადმოცემული ქონება;
- საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავალი.

ჩამოთვლილი ფინანსური სახსრები გამოიყენება მხოლოდ ანსამბლის დებულებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებისათვის.

სსიპ „საგუნდო კაპელა“:

კაპელის ძირითადი მიზნებს, ფუნქციებს და საქმიანობის საგანს წარმოადგენს:

- ქართული, აფხაზური და მსოფლიო საგუნდო და აკადემიური მუსიკალური ხელოვნების პოპულარიზაცია;
- საკონცერტო მოღვაწეობა საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ, ეროვნული და მსოფლიო მუსიკალური ხელოვნების მაღალმხატვრული ნიმუშების მოსახლეობის ფართო ფენებში პოპულარიზაცია-პროპაგანდა;

კაპელის სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანო, კანონმდებლობით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში, არის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების და კულტურის სამინისტრო.

კაპელას აქვს განცალკევებული ქონება, დამოუკიდებელი ბალანსი, საანგარიშსწორებო, სავალუტო და სხვა სახის ანგარიშები, ბეჭედი საკუთარი დასახელებით, ბლანკი, ემბლემა და საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის დამახასიათებელი სხვა რეკვიზიტები. ანსამბლი ბალანსს დასამტკიცებლად წარუდგენს შესაბამის სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოს, ხოლო შემდგომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს.

კაპელის დაფინანსების წყაროებია:

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი სუფსიდიები და სხვა მიზნობრივი სახსრები;
- სახელმწიფო შეკვეთის შესრულებიდან მიღებული შემოსავალი;
- ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი;
- ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები;
- საგამომცემლო და სარეკლამო საქმიანობით მიღებული შემოსავლები;
- შემოსავლები, რომლებიც მიიღება კონცერტების გადაღებით, მათი კინო-ვიდეო-და აუდიო-ჩანაწერების, სატელევიზიო, რადიო და სხვა სახის ტრანსლაციათა კომერციული მიზნების გამოყენებით;
- შემოსავლები, რომლებიც მიიღება კაპელის მიერ მესამე პირებისათვის გაწეული კულტურული მომსახურების შედეგად;
- ადგილობრივი, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ფონდების მიერ გამოყოფილი გრანტები და შემოწირულობები;
- სამეურნეო-კომერციული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები;
- სხვა შემოსავლები, რომლებიც ნებადართულია საქართველოს კანონმდებლობით.

ჩამოთვლილი ფინანსური სახსრები მთლიანად მოხმარდება კაპელის მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას და მათი გამოყენება რაიმე სხვა მიზნით აკრძალულია.

1. შრომის ანაზღაურება

სსიპ აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი „აფხაზეთი“:

გამოვლენილი გარემოებები:

- სსიპ „ცეკვის ანსამბლის“ 2015 წლის 29 დეკემბერს N47 და 2016 წლის 8 იანვარს N2 წერილებით სამინისტროს შეთანხმების მიზნით წარედგინა 2016 წლის საშტატო განრიგი. სამინისტროს წერილით¹ ანსამბლს ეცნობა, რომ აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო არ ეთანხმებოდა ანსამბლის მიერ წარმოდგენილ საშტატო ნუსხის პროექტს, ვინაიდან, პროექტის მიხედვით გაზრდილი იყო დირიჟორის, ქორეოგრაფისა და კადრების ინსპექტორის შრომის ანაზღაურება, ასევე დამატებული იყო მთავარი დირიჟორისა და მთავარი ქორეოგრაფის თანამდებობები შრომის ანაზღაურების მაღალი განაკვეთებით, რაც გავლენას იქონიებდა ბიუჯეტის მოცულობაზე. შესაბამისად ანსამბლს ეთხოვა აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს შენიშვნების გათვალისწინება და კორექტირებული საშტატო განრიგის წარმოდგენა. თუმცა, ანსამბლს არანაირი კორექტირება არ განუხორციელებია და სამინისტროში შესათანხმებლად უცვლელად წარადგინა² 2016 წლის საშტატო განრიგის პროექტი. ხელმეორედ წარდგენილ პროექტთან დაკავშირებით მაკონტროლებელ ორგანოს რაიმე ოფიციალური რეაგირება არ

¹ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს 2016 წლის 11 აპრილის N MES6 16 00361389 წერილი სსიპ-აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ „აფხაზეთის“ „კორექტირებული საშტატო განრიგის წარმოდგენის მოთხოვნით“;

² სსიპ-აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ „აფხაზეთის“ 2016 წლის 28 ივნისის N31 წერილი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ;

განუხორციელებია, ანუ საშტატო განრიგის პროექტი არ დაუმტკიცებია. ამასთან, ანსამბლის მიერ 2016 წლის საშტატო ნუსხის პროექტზე მიღებული უარი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად³ ზემდგომ სახელმწიფო ორგანოში ან/და სასამართლოში არ გასაჩივრებულა.

ამდენად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ 2016 წლის საშტატო განრიგის პროექტზე არ არსებობდა თანხმობა, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს მოთხოვნის გათვალისწინებლად და მოქმედი კანონმდებლობის შეუსაბამოდ⁴, 2016 წელს დირიჟორზე, ქორეოგრაფზე და კადრების ინსპექტორზე მაინც გაიცა ხელფასები გაზრდილი ოდენობით, ხოლო მთავარი დირიჟორი და მთავარი ქორეოგრაფი აყვანილ იქნენ აღნიშნულ თანამდებობებზე და ჩაერიცხათ 2016 წლის საშტატო ნუსხის პროექტით გათვალისწინებული თანხები (სხვაობა 27,300.00 ლარი) „შრომის ანაზღაურების“ მუხლიდან. 2015 წლის (შეთანხმებული-მოქმედი)⁵ საშტატო განრიგით გათვალისწინებულ მოსამსახურეთა ნაწილს (პედაგოგ-რეპეტიტორი - 2, მუსიკოსი - 4 და მსახიობი - 20) ხელფასები ჩაერიცხათ „საქონელი და მომსახურების“ მუხლის „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების“ ქვემუხლიდან. კერძოდ:

N	თანამდებობის დასახელება	2015 წლის 01 თებერვალს მაკონტროლებელთან შეთანხმებული საშტატო განრიგით			2016 წელს გაცემული თანხები	სხვაობა (5-4)	შენიშვნა
		საშტატო ერთეული	სარგო თვის	სარგო წლიური	სულ წლიური		
	1	2	3	4	5	6	
1	სამხატვრო ხელმძღვანელი	1	1400	16800	16800		
2	დირექტორი	1	1200	14400	14400		
3	დირიჟორი	1	700	8400	9900	1500	
4	დირიჟორი				11000	11000	
5	მთ. ბუღალტერი	1	900	10800	10800		
6	კადრების ინსპექტორი	1	400	4800	6000	1200	
7	ვოკალის პედაგოგი	1	300	3600			2016 წელს აღნიშნული ერთეული გაუქმდა
8	ქორეოგრაფი	1	700	8400	9900	1500	
9	ქორეოგრაფი				12100	12100	

³ საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტი;

⁴ საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

⁵ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრთან 2015 წლის 01 თებერვალს შეთანხმებული სსიპ სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ „აფხაზეთის“ საშტატო განრიგი;

10	პედაგოგ-რეპეტიტორი	2	500	6000	6000		2016 წელს ანაზღაურება გაიცა საქონელი და მომსახურების მუხლიდან
11	მუსიკოსი	1	495	5940	5940		
12	მუსიკოსი	3	485	5820	5820		
13	მსახიობი	20	485	5820	5820		
	სულ		7565	90780	114480	27300	

- ხელფასის გაანგარიშება ხდებოდა საშტატო განრიგის, შრომითი ხელშეკრულებებისა და თანამშრომელთა თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ ბრძანებების საფუძველზე, სამსახურში თანამშრომელთა ფაქტიური ყოფნის შესაბამისად. თუმცა, ორგანიზაციის დოკუმენტბრუნვის შესწავლით დადგინდა, რომ დადებულ შრომით ხელშეკრულებებსა და გამოცემულ ბრძანებებში არ იყო დაკონკრეტებული მოსამსახურეების საშტატო თუ შტატგარეშე მომუშავის სტატუსი და არც რაიმე სახის სხვა ტიპის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი დოკუმენტი არ გამოცემულა სადაც განსაზღვრული იქნებოდა მსგავსი სტატუსი.
- ანსამბლის მიერ 2015 და 2016 წლებში სამუშაო დროის გამოყენების ყოველთვიური აღრიცხვის მიზნით არ გამოიყენებოდა სპეციალური ტექნიკური საშუალება, არ იყო დადგენილი და შესაბამისად ნაწარმოები სამუშაოზე გამოცხადების აღრიცხვის (წასვლა-მოსვლის)⁶ ჟურნალი⁷ და სამუშაო დროის გამოყენების და ხელფასის გაანგარიშების ტაბელი⁸.

1. რეკომენდაცია

მოსამსახურეებისათვის შრომის ანაზღაურება განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით - შეთანხმებული საშტატო განრიგისა და საბიუჯეტო კლასიფიკატორის შესაბამისი მუხლების მიხედვით. მართვისა და კონტროლის სისტემის სრულყოფის მიზნით უზრუნველყოფილი იქნას კანონმდებლობით დადგენილი კონტროლის მექანიზმების გამოყენება.

2. სამივლინებო ხარჯები

სსიპ აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი „აფხაზეთი“:

გამოვლენილი გარემოებები:

⁶ სსიპ აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მმართველის მიერ 2012 წლის 20 აპრილს დამტკიცებული „სსიპ აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის შინაგანაწესის“ მე-17 მუხლის მე-3 პუნქტი;

⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ 30-ე მუხლის მე-15 პუნქტი;

⁸ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის N 449 ბრძანების - „საბიუჯეტო ორგანიზაციების პირველადი საბუღალტრო დოკუმენტებისა და სააღრიცხვო რეგისტრების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ფორმა №019;

2015 წლის 13 ოქტომბრიდან 22 ოქტომბრის ჩათვლით ანსამბლის 12 თანამშრომელი მივლინებული იყო ჩინეთის ქ. ზოჰაში “MISS Chinese Internacional Pageant 2015”-ის საფინალო ღონისძიებაში მონაწილეობის მიღების მიზნით. მივლინებული პირები საცხოვრებლითა და კვებით უზრუნველყოფილი იყვნენ მომწვევი მხარის მიერ. დადგენილი კანონმდებლობით⁹ მოსამსახურეებისათვის უნდა ანაზღაურებულიყო სამივლინებო თანხის სადღეღამისო ნორმის¹⁰ 30%¹¹, რაც შეადგენდა 9 აშშ დოლარს¹². სავალუტო კურსის გათვალისწინებით¹³ ერთ მოსამსახურეზე დღიურად უნდა გაცემულიყო 21.54 ლარი, შესაბამისად ჯამში აღნიშნულ პირებზე გასაცემმა თანხამ შეადგინა - 2,584.44 ლარი¹⁴. ორგანიზაციიდან მიღებული ინფორმაციით ფინანსური სახსრების უქონლობის გამო ეს თანხა არ გაცემულა და არც ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულა ვალდებულებად¹⁵.

2. რეკომენდაცია

ფინანსურ ანგარიშგებაში სამივლინებო თანხების ვალდებულებად ასახვის შემდგომ, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა უზრუნველსაყოფად განხორციელდეს აღნიშნული თანხების ანაზღაურება.

სსიპ „გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელა“:

გამოვლენილი გარემოებები:

2015 წლის 28 მაისს კაპელამ მიიღო მოწვევა იტალიის ქ. რიმინიში „Internacional Choir Competition 2015“-ის (24/09/2015 - 27/09/2015), ხოლო 3 ივლისს ქ. ლუკაში “Puccini Internacional Choir Competiton“-ის (30/09/2015 - 04/10/2015) საერთაშორისო კონკურსებში მონაწილეობის მისაღებად. კაპელის 30 თანამშრომლის იტალიაში მივლინების შესახებ ბრძანების¹⁶ საფუძველზე, 2015 წლის 8 სექტემბერს გაფორმდა ხელშეკრულება "შპს ვიზა მენეჯმენტ სერვის ჯორჯიასთან" მივლინებული თანამშრომლების სავიზო დოკუმენტაციის იტალიის რესპუბლიკის საკონსულოში წარდგენის მომსახურებისათვის, რისთვისაც 09 სექტემბერს გადახდილ იქნა 2,250.00 ლარი. 2015 წლის 11 სექტემბერს ოცდაათივე თანამშრომელზე სავიზო მოთხოვნა დაკმაყოფილდა, თუმცა აღნიშნული მივლინება იტალიაში ვერ შედგა, რადგან კაპელის მიერ ვერ მოხერხდა მივლინებული თანამშრომლების დაბინავებისათვის აუცილებელი სამივლინებო თანხების მოძიება.

⁹ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის №231 "მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ" ბრძანებულების დანართი N1-ს პირველი, მე-6, მე-7, მე-8 და მე-9 პუნქტები;

¹⁰ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის №231 "მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ" ბრძანებულების დანართი N2 ქვეყანა ჩინეთი - 30 აშშ დოლარი;

¹¹ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის №231 "მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ" ბრძანებულების დანართი N1-ს მე-11 პუნქტი; 30 აშშ დოლარი;

¹² 30 აშშ დოლარი X 30% = 9 აშშ დოლარს;

¹³ 2015 წლის 13 ოქტომბრისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით: 1\$ = 2,393 ლარი
<https://www.nbg.gov.ge/index.php?m=582&lng=geo> ;

¹⁴ 21.537 ლარი X 10დღე X 12 პირი = 2,584.44 ლარი;

¹⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ 29 -ე მუხლის 26-ე პუნქტი;

¹⁶ კაპელის სამხატვრო ხელმძღვანელის 2015 წლის 8 სექტემბრის N1/3

კერძოდ, სავიზო ხარჯების გაწევისა და ვიზების მიღების შემდეგ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში და ქ. თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრში 2015 წლის 15 ივლისს დაფინანსების მოსაპოვებლად წარდგენილ განაცხადებზე, მიღებულ იქნა უარი. ფაქტობრივად, მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე¹⁷ კაპელის მიერ საკუთარი შემოსავლებით სავიზო დოკუმენტაციის საკონსულოში წარდგენის მომსახურებისათვის გადახდილი თანხა - 2,250.00 ლარის ოდენობით (სხვა აუცილებელი დაფინანსების მოპოვების არქონის პირობებში), მიუთითებს სახსრების არაეფექტიან და არაპროდუქტიულ განკარგვაზე და დაგეგმვის ეტაპზე ორგანიზაციული პროცესების მართვაში არსებულ პრობლემებზე.¹⁸

3. რეკომენდაცია

ფინანსური სახსრების ეფექტიანად და პროდუქტიულად მართვის მიზნით, არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით დაგეგმვის ეტაპზე განხორციელდეს რისკების ჯეროვანი შეფასება.

3. პირობითი ვალდებულებები

სსიპ „სახელმწიფო მოხარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი „თეთრი ტალღა“:

გამოვლენილი გარემოებები:

2015 წლის 17 ივნისის დასრულდა სსიპ „თეთრი ტალღას“ და განთავისუფლებულ 2 თანამშრომელს შორის 2014 წელს დაწყებული სასამართლო დავა. მიუხედავად იმისა, რომ თეატრისთვის ცნობილი იყო აღნიშნული სამსამართლო პროცესის ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე შესაძლო ზეგავლენის შესახებ, თეატრის მიერ არ მომხდარა რისკების სწორად განსაზღვრა და მოსალოდნელი ვალდებულებების ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვა (პირობით ვალდებულებებად)¹⁹.

სასამართლო გადაწყვეტილებით, სსიპ „თეთრი ტალღას“ დაეკისრა მოსარჩელეებისათვის 9 თვის განცდური ხელფასის სახით თანხის ჩარიცხვა 2015 წლის 25 მაისამდე ჯამში - 8,550.00 ლარის ოდენობით. წარმოდგენილი ინფორმაციით სახსრების უქონლობის გამო თეატრის მიერ ვალდებულებების დაფარვა დადგენილ ვადაში ვერ მოხერხდა. 2015 წლის 11 სექტემბრის NA15050779 წერილით თეატრს აღსრულების ეროვნული ბიუროს სპეციალური სამსახურის წერილით მოუვიდა შეტყობინება გადაწყვეტილების შესრულების შესახებ, რომლითაც ორგანიზაციას დაეკისრა სასამართლო გადაწყვეტილების ერთი თვის ვადაში

¹⁷ „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის ა,ბ, გ ქვეპუნქტები;

¹⁸ „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის გ) ქვეპუნქტი და მე-7 მუხლის პირველი პუნქტი;

¹⁹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერის ბრძანება №1321 „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ მე-11 მუხლის პირველი პუნქტი და 43-ე მუხლის მე-7 პუნქტი;

ნებაყოფლობით აღსრულების შემთხვევაში 8,726.00 (8,550.00 ლარს დაემატა აღსრულების საფასური - 176.00 ლარი) ლარის ჩარიცხვა შესაბამის ანგარიშზე. თუმცა, ამ შემთხვევაშიც თეატრის მიერ ვერ მოხერხდა აღნიშნული დავალიანების გადახდა, რის გამოც იძულებითი აღსრულების წესით თეატრს დაეკისრა 9,148.50 ლარის (8,550.00 ლარს დაემატა იძულებითი აღსრულების საფასური - 598.50 ლარი) გადახდა. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სახსრების უქონლობის გამო თეატრმა დავალიანების დასაფარად მაკონტროლებელთან შეთანხმებით აიღო სესხი 9,000.00 ლარის ოდენობით. (06.11.2015 წ. სასესხო ხელშეკრულება მოქ. მ. ყურაშვილთან უპროცენტო სესხის აღებაზე). აუდიტის პერიოდში აღებული სესხიდან თანხები საერთოდ არ დაფარულა და იგი ირიცხებოდა, როგორც 9,000.00 ლარის გრძელვადიანი ვალდებულება. ამდენად, სსიპ „თეთრი ტალღის“ ხელმძღვანელობის შეუსაბამო გადაწყვეტილებით ფაქტობრივად თანამშრომელთა უკანონო განთავისუფლებამ და რისკების არასწორად შეფასებამ გამოიწვია დამატებითი (გაუთვალისწინებელი) ხარჯები, რომლებმაც ზეგავლენა მოახდინა ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე, რაც მიუთითებს ფინანსური სახსრების არაეფექტიან და არაპროდუქტიულ განკარგვაზე²⁰. ამასთან, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მაკონტროლებელ ორგანოს სათანადო (ადეკვატური) რეაგირება არ განუხორციელებია.

4. რეკომენდაცია

გაუთვალისწინებელი ხარჯების თავიდან ასაცილებლად, მიზანშეწონილია რისკების სწორად განსაზღვრა და შესაბამისი პირობითი ვალდებულებების ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვა.

სხვა დარღვევა/ნაკლოვანებები

4. სახელმწიფო შესყიდვები

სსიპ სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი:

გამოვლენილი გარემოებები:

²⁰ „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის გ) ქვეპუნქტი და მე-7 მუხლის პირველი პუნქტი;

სსიპ „გამსახურდიას თეატრის“ მიერ 2015 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა ატვირთული იყო დაგვიანებით.²¹

5. რეკომენდაცია

შესყიდვების გეგმის შესაბამის ელექტრონულ სისტემაში დროულად ატვირთვის უზრუნველსაყოფად განხორციელდეს მონიტორინგისა და კონტროლის სისტემის სრულყოფა.

სსიპ სოხუმის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი „თეთრი ტალღა“:

გამოვლენილი გარემოებები:

2015 და 2016 წლების სახელმწიფო შესყიდვების გეგმები თეატრის მიერ ატვირთული იყო დაგვიანებით²². ასევე, 2015 წელს გაფორმებული 54 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების დადებისას 43 შემთხვევაში, ხოლო 2016 წელს 61 ხელშეკრულებიდან 5 შემთხვევაში არ იყო გათვალისწინებული ის გარემოება, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა სულ მცირე 30 დღით უნდა აღემატებოდეს საქონლის მიწოდების, მომსახურების ან/და სამუშაოს შესრულების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადას.²³

6. რეკომენდაცია

შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში შესაბამისი ინფორმაციის დროულად ატვირთვის და ხელშეკრულების მოქმედების ვადის კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად განხორციელდეს მონიტორინგისა და კონტროლის სისტემის სრულყოფა.

სსიპ აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი „აფხაზეთი“:

გამოვლენილი გარემოებები:

²¹ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტი; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის ბრძანება №2-ის „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-4 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტები;

²² „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტი; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის ბრძანება №2-ის „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-4 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტები;

²³ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს ბრძანება №13-ის „გამარტივებული შესყიდვის, კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ მე-10 მუხლის მე-4 პუნქტი;

2015 და 2016 წლების სახელმწიფო შესყიდვების გეგმები ანსამბლის მიერ ატვირთული იყო დაგვიანებით²⁴. ასევე, შესყიდვიდან ერთიან ელექტრონული სისტემის CMR მოდულში 2015 წელს და 2016 წელს განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებში, ხელშეკრულების შესრულების/შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ყველა შემთხვევაში ატვირთული იყო დაგვიანებით²⁵. ამასთან, 2015 წელს გაფორმებული 21 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების დადებისას 14 შემთხვევაში, ხოლო 2016 წელს 22 ხელშეკრულებიდან 5 შემთხვევაში არ იყო გათვალისწინებული ის გარემოება, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა სულ მცირე 30 დღით უნდა აღემატებოდეს საქონლის მიწოდების, მომსახურების ან/და სამუშაოს შესრულების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადას.²⁶

7. რეკომენდაცია

შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში შესაბამისი ინფორმაციის და დოკუმენტაციის დროულად ატვირთვის და ხელშეკრულების მოქმედების ვადის კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად განხორციელდეს მონიტორინგისა და კონტროლის სისტემის სრულყოფა.

სსიპ გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელა:

გამოვლენილი გარემოებები:

2015 და 2016 წლების სახელმწიფო შესყიდვების გეგმები საგუნდო კაპელის მიერ ატვირთული იყო დაგვიანებით²⁷. ასევე, შესყიდვიდან ერთიან ელექტრონული სისტემის CMR მოდულში 2015 წელს და 2016 წელს განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებში, ხელშეკრულების შესრულების/შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ყველა შემთხვევაში ატვირთული იყო დაგვიანებით.²⁸ ამასთან, 2015 წელს გაფორმებული 15 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების დადებისას 6 შემთხვევაში, არ იყო გათვალისწინებული ის გარემოება, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა სულ მცირე 30

²⁴ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტი; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის ბრძანება №2-ის „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-4 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტები;

²⁵ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 3¹ პუნქტი; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის ბრძანება №2-ის „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი;

²⁶ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს ბრძანება №13-ის „გამარტივებული შესყიდვის, კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ მე-10 მუხლის მე-4 პუნქტი;

²⁷ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტი; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის ბრძანება №2-ის „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-4 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტები;

²⁸ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 3¹ პუნქტი; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის ბრძანება №2-ის „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი;

დღით უნდა აღემატებოდეს საქონლის მიწოდების, მომსახურების ან/და სამუშაოს შესრულების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადას.²⁹

8. რეკომენდაცია

შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში შესაბამისი ინფორმაციის და დოკუმენტაციის დროულად ატვირთვის და ხელშეკრულების მოქმედების ვადის კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად განხორციელდეს მონიტორინგისა და კონტროლის სისტემის სრულყოფა.

5. ხელფასის დარიცხვის საფუძვლები

სსიპ სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი:

გამოვლენილი გარემოებები:

სსიპ „გამსახურდიას თეატრის“ მიერ 2015 და 2016 წლებში სამუშაო დროის გამოყენების ყოველთვიური აღრიცხვის მიზნით არ გამოყენებოდა სპეციალური ტექნიკური საშუალება, ასევე არ იყო ნაწარმოები სამუშაოზე გამოცხადების აღრიცხვის ჟურნალი³⁰ და სამუშაო დროის გამოყენების და ხელფასის გაანგარიშების ტაბელი³¹.

9. რეკომენდაცია

ხელფასის დარიცხვის საფუძვლების კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად განხორციელდეს მონიტორინგისა და კონტროლის სისტემის სრულყოფა.

სსიპ სოხუმის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი „თეთრი ტალღა“:

გამოვლენილი გარემოებები:

²⁹ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს ბრძანება №13-ის „გამარტივებული შესყიდვის, კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ მე-10 მუხლის მე-4 პუნქტი;

³⁰ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ 30-ე მუხლის მე-15 პუნქტი; სსიპ სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის 2014 წლის 14 აპრილის N19 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის“ შინაგანაწესის მე-9 პუნქტის პირველი ქვეპუნქტი;

³¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის N 449 ბრძანების - „საბიუჯეტო ორგანიზაციების პირველადი საბუღალტრო დოკუმენტებისა და სააღრიცხვო რეგისტრების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ფორმა №019;

სსიპ „თეთრი ტალღის“ მიერ 2015 და 2016 წლებში ხელფასის დარიცხვის საფუძვლად არ გამოიყენებოდა სამუშაო დროის გამოყენების და ხელფასის გაანგარიშების ტაბელი³².

10. რეკომენდაცია

ხელფასის დარიცხვის საფუძვლების კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად განხორციელდეს მონიტორინგისა და კონტროლის სისტემის სრულყოფა.

სსიპ გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელა:

გამოვლენილი გარემოებები:

სსიპ „საგუნდო კაპელის“ მიერ 2015 წელს სამუშაო დროის გამოყენების ყოველთვიური აღრიცხვის მიზნით არ გამოყენებოდა სპეციალური ტექნიკური საშუალება და არ იყო ნაწარმოები სამუშაოზე გამოცხადების აღრიცხვის ჟურნალი³³.

11. რეკომენდაცია

ხელფასის დარიცხვის საფუძვლების კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად განხორციელდეს მონიტორინგისა და კონტროლის სისტემის სრულყოფა.

6. ინვენტარიზაციის შედეგები

სსიპ აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი „აფხაზეთი“:

გამოვლენილი გარემოებები:

ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა, 16 ერთეული არაფინანსური აქტივის ზედმეტობა.³⁴ აღნიშნული აქტივების ღირებულება უცნობი იყო, ვინაიდან არ არსებობდა შესყიდვის რაიმე დოკუმენტი და დადგენილი წესით არც ცეკვის ანსამბლის მიერ მომხდარა მათი შეფასება. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული აქტივები აუდიტის პერიოდში იმყოფებოდა ანსამბლის ექსპლუატაციაში, ისინი ბალანსში თანხობრივად არ

³² საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის N 449 ბრძანების - „საბიუჯეტო ორგანიზაციების პირველადი საბუღალტრო დოკუმენტებისა და სააღრიცხვო რეგისტრების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ფორმა №019;

³³ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ 30-ე მუხლის მე-15 პუნქტი;

³⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების შესახებ“ წესის მე-15 მუხლის მე-4 პუნქტი;

აღრიცხულა და საივენტარო აღწერაში შეტანილი იქნა (აისახა ზედმეტობად) ღირებულების გარეშე.³⁵

12. რეკომენდაცია

აქტივების ზედმეტობის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის მიზნით განხორციელდეს ღირებულების დადგენა კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

სსიპ გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელა:

გამოვლენილი გარემოებები:

ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა, 10 ერთეული არაფინანსური აქტივის ზედმეტობა³⁶ და 11 ერთეული 145.05 ლარის ღირებულების გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივის დანაკლისი. ზედმეტობად გამოვლენილი აქტივების ღირებულება უცნობი იყო, ვინაიდან არ არსებობდა შესყიდვის რაიმე დოკუმენტი და დადგენილი წესით არც საგუნდო კაპელის მიერ მომხდარა მათი შეფასება. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული აქტივები აუდიტის პერიოდში იმყოფებოდა საგუნდო კაპელის ექსპლუატაციაში, ისინი ბალანსში თანხობრივად არ აღრიცხულა და საივენტარო აღწერაში შეტანილი იქნა (აისახა ზედმეტობად) ღირებულების გარეშე.³⁷

13. რეკომენდაცია

აქტივების დანაკლისების აღმოფხვრისა და ზედმეტობის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის მიზნით განხორციელდეს შესაბამისი ქმედებები მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

7. დოკუმენტაციის აღრიცხვა და ორგანიზება

სსიპ აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი „აფხაზეთი“:

გამოვლენილი გარემოებები:

2015 და 2016 წლებში საბუღალტრო დოკუმენტაციის აღრიცხვის ორგანიზებასა და შენახვაზე არ იყო უზრუნველყოფილი სათანადო კონტროლი. კერძოდ, მემორიალური ორდერები, შესაბამის პირველად დოკუმენტებთან ერთად არ იყო აკინძული და

³⁵ „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“, ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტი.

³⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების შესახებ“ წესის მე-15 მუხლის მე-4 პუნქტი;

³⁷ „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“, ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტი.

გადანომრილი მოქმედი წესის შესაბამისად³⁸. გარდა აღნიშნულისა, აუდირებულ პერიოდში არ იყო ნაწარმოები გამოცემული ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი, ხოლო შემოსული და გასული წერილები არ იყო აკინძული და გადანომრილი დადგენილი კანონმდებლობის მიხედვით.³⁹ ყოველივე აღნიშნული ზრდის დოკუმენტების სისრულის და დაცულობის რისკს.

14. რეკომენდაცია

მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, დაცულობის უზრუნველსაყოფად არსებული დოკუმენტაციის შენახვაზე დაწესდეს სათანადო კონტროლი.

სსიპ გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელა:

გამოვლენილი გარემოებები:

2015 და 2016 წლებში საბუღალტრო დოკუმენტაციის აღრიცხვის ორგანიზებასა და შენახვაზე არ იყო უზრუნველყოფილი სათანადო კონტროლი. კერძოდ, მემორიალური ორდერები, შესაბამის პირველად დოკუმენტებთან ერთად არ იყო აკინძული და გადანომრილი მოქმედი წესის შესაბამისად⁴⁰. ამასთან, აუდირებულ პერიოდში არ იყო ნაწარმოები გამოცემული ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი, ხოლო შემოსული და გასული წერილები არ იყო აკინძული და გადანომრილი დადგენილი კანონმდებლობის მიხედვით.⁴¹ ყოველივე აღნიშნული ზრდის დოკუმენტების სისრულის და დაცულობის რისკს.

გარდა აღნიშნულისა აუდიტის პერიოდში ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მიერ არ იყო შემუშავებული და დამტკიცებული კაპელის შინაგანაწესი.⁴²

15. რეკომენდაცია

მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, დაცულობის უზრუნველსაყოფად არსებული დოკუმენტაციის შენახვაზე დაწესდეს სათანადო კონტროლი. დადგენილი ფორმის შესაბამისად დამტკიცდეს საგუნდო კაპელის შინაგანაწესი.

³⁸ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერი №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-5 მუხლის მე-13 პუნქტი.

³⁹ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის №414 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქმისწარმოების ერთიანი წესების“ 38-ე, 59-ე, მე-60 და 61-ე მუხლები;

⁴⁰ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერი №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-5 მუხლის მე-13 პუნქტი.

⁴¹ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის №414 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქმისწარმოების ერთიანი წესების“ 38-ე, 59-ე, მე-60 და 61-ე მუხლები;

⁴² აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრის 2014 წლის 9 იანვრის ბრძანებით N 09/მ დამტკიცებული სსიპ „აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელა“-ს დებულების მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის გ) ქვეპუნქტი;

8. ფინანსური ანგარიშგება

სსიპ სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი:

გამოვლენილი გარემოებები:

➤ ორგანიზაციას აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიერ 2016 წლის 26 დეკემბერს გადმოეცა ქ. თბილისში დ. უზნაძის ქუჩა N68-ში მდებარე შენობის მე-6 სართულზე არსებული 279.38 კვ.მ ფართი (ს/კ N01.13.08.010.028). საექსპერტო დასკვნით ფართის საბალანსო ღირებულება (ცვეთის გათვალისწინებით) განისაზღვრა - 27,938.00 ლარის ოდენობით, ხოლო საბაზრო ღირებულება - 475,000.00 ლარის ოდენობით. გადმოცემული ფართი ფინანსურ ანგარიშგებაში აისახა საბალანსე ღირებულებით (27,938.00 ლარი) და დაერიცხა ცვეთა 283.3 ლარის ოდენობით. ვინაიდან საექსპერტო დასკვნის საფუძველზე მოხდა აღნიშნული აქტივის შეფასება, მისი ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა მომხდარიყო რეალური (საბაზრო) ღირებულებით.⁴³ ამდენად, ბალანსში, ბალანსის დანართ ფორმა N2-ში, ფორმა N3 -ში და ფორმა N5-ში ასახული ინფორმაცია ძირითადი აქტივის შესახებ წარმოდგენილი იყო - 447,062.00 ლარით, ხოლო ძირითადი კაპიტალის მოხმარების შესახებ - 4,466.00 ლარით ნაკლები თანხით⁴⁴;

➤ 2015 წელს თეატრის სარგებლობაში არსებულ ფართზე (ქ. თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N16) მოხდა ელექტრომომარაგების სისტემის მონტაჟი რაზეც ჯამში გაიხარჯა - 1,500.00 ლარი (მონტაჟის საფასური - 1,100.00 ლარი, მრიცხველის საფასური - 400.00 ლარი). აღნიშნული ოპერაცია შეცდომით აისახა ბალანსის დანართ ფორმა N5-ში, როგორც ძირითადი აქტივის მიღება და დაემატა შენობა-ნაგებობის ღირებულებას. ვინაიდან, აღნიშნული ოპერაცია შინაარსიდან გამომდინარე წარმოადგენდა მიმდინარე ხარჯს, არ უნდა მომხდარიყო მისი კაპიტალიზება⁴⁵. ამდენად, ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში, დანართ ფორმა N2-ში, ფორმა N3-ში და ფორმა N5-ში ძირითადი აქტივების და ცვეთის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია არ ასახავს რეალურ მდგომარეობას⁴⁶;

➤ 2016 წელს თეატრის სარგებლობაში არსებულ ფართზე (ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქუჩა N68-ში) მოხდა გაზის მიღებისა და მრიცხველის მონტაჟი, რაზეც ჯამში გაიხარჯა - 400.00 ლარი. აღნიშნული ოპერაცია შეცდომით აისახა ბალანსის დანართ ფორმა N5-ში, როგორც ძირითადი აქტივის მიღება და დაემატა შენობა-ნაგებობის ღირებულებას. ვინაიდან, აღნიშნული ოპერაცია შინაარსიდან გამომდინარე წარმოადგენდა მიმდინარე

⁴³ 475,000.00 (საბაზრო ღირებულება) - 27,938.00 (საბალანსე ღირებულება) = 447,062.00 ;

⁴⁴ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტები;

⁴⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერის ბრძანება №1321 „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ 23-ე მუხლის მე-2 პუნქტი;

⁴⁶ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტები;

ხარჯს, არ უნდა მომხდარიყო მისი კაპიტალიზება⁴⁷. ამდენად, ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში, დანართ ფორმა N2-ში, ფორმა N3-ში და ფორმა N5-ში ძირითადი აქტივების და ცვეთის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია არ ასახავს რეალურ მდგომარეობას⁴⁸;

➤ 2016 წელს შეძენილი 3,100.00 ლარის ღირებულების ძირითადი აქტივები წლიური ბალანსის დანართ ფორმა N5-ში „მიმდინარე პერიოდის შესყიდვის“ სვეტის ნაცვლად შეცდომით აისახა „საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნის“ სვეტში⁴⁹;

➤ 2015 წელს - 46,950.00 ლარის ღირებულების, ხოლო 2016 წელს - 25,713.09 ლარის ღირებულების გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების მიღება-გასვლა (ხარჯებში ჩამოწერა) არ იყო ნაჩვენები შესაბამისი წლების ფინანსური ანგარიშგების დანართ ფორმა N5-ში⁵⁰;

➤ 2015 წლის ბალანსის დანართ ფორმა N4-ში არ იყო ასახული ძირითადი აქტივების ზრდა 928.00 ლარის ოდენობით, ხოლო ფაქტიურ ხარჯებში არ იყო ნაჩვენები „ძირითადი კაპიტალის მოხმარება“ - 5,463.61 ლარის ოდენობით⁵¹;

➤ 2016 წელს 4,000.00 ლარის ღირებულების ძირითადი აქტივების შეძენა ბალანსის დანართი ფორმა N4-ში შეცდომით აისახა სტრიქონიზე 290 - „სხვა ხარჯები“, ხოლო ფაქტიურ ხარჯებში არ იყო ნაჩვენები „ძირითადი კაპიტალის მოხმარება“ - 4,777.02 ლარის ოდენობით⁵².

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2016 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში არაფინანსური აქტივების და ძირითადი კაპიტალის მოხმარების აღრიცხვის კუთხით წარმოდგენილი ინფორმაცია უტყუარად (სწორად), სრულად და საიმედოდ ვერ ასახავს რეალურ მდგომარეობას⁵³.

⁴⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერის ბრძანება №1321 „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ 24-ე მუხლის მე-17 პუნქტი და მე-18 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები;

⁴⁸ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-5 პუნქტები;

⁴⁹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერის ბრძანება №1321 „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ 24-ე მუხლის მე-17 პუნქტი და მე-18 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები; საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-5 პუნქტები;

⁵⁰ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტები;

⁵¹ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტები;

⁵² საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტები;

⁵³ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-5 პუნქტები;

16. რეკომენდაცია

შესაბამისი საბუღალტრო გატარებების (კორექტირებების) შემდეგ დადგენილი წესის მიხედვით უნდა განხორციელდეს ფინანსურ ანგარიშგებაში სათანადო ცვლილებების შეტანა.

სსიპ სოხუმის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი „თეთრი ტალღა“:

გამოვლენილი გარემოებები:

- 2015 წელს 4,585.00 ლარის და 2016 წელს 622.00 ლარის პირვანდელი ღირებულების ამორტიზირებული ძირითადი აქტივები არ იყო აღრიცხული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ის, საცნობარო მუხლში ანგარიშზე⁵⁴ (08) ამორტიზებული ძირითადი აქტივები;
- ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები საცნობარო მუხლის⁵⁵ (10) ანგარიშზე აღრიცხვის ნაცვლად, 2015 წელს - 30,212.12 ლარის ოდენობით, ხოლო 2016 წელს - 38,257.20 ლარის ოდენობით შეცდომით ნაჩვენები იყო ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში ანგარიშზე - (2200) „გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები“. ამასთან, გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების მიღება-გასვლა 2015 წელს - 14,650.00 ლარის ოდენობით, ხოლო 2016 წელს - 8,045.00 ლარის ოდენობით ბალანსის დანართ ფორმა N5-ში შეცდომით აღირიცხა, როგორც ძირითადი აქტივების მიღება-გასვლა⁵⁶;
- 2015 წლის ბალანსში ანგარიშზე 1310 „ფასიანი ქაღალდები გარდა აქციებისა“⁵⁷ შეცდომით საწყის ნაშთად ფიქსირდებოდა 1,321.00 ერთეული ბილეთი სარეალიზაციო ჯამური ღირებულებით 3,969.00 ლარი. აღნიშნული ბილეთების ასახვა უნდა მომხდარიყო ანგარიშზე 1620 „სხვა მატერიალური მარაგები“⁵⁸ ნომინალური ჯამური ღირებულებით - 66.05 ლარი;

⁵⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერის ბრძანება №1321 „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ 43-ე მუხლის მე-9 პუნქტი; საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტები;

⁵⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერის ბრძანება №1321 „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ 43-ე მუხლის მე-11 პუნქტი;

⁵⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ 22-ე მუხლის პირველი პუნქტი;

⁵⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერის ბრძანება №1321 „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ მე-13 მუხლის მე-15 პუნქტი;

⁵⁸ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერის ბრძანება №1321 „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ მე-19 მუხლის პირველი პუნქტი და მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი;

➤ 2015 წლის ბალანსში ასახული არ ყოფილა გრძელვადიანი ვალდებულებები სესხებით 9,000.00 ლარის ოდენობით⁵⁹.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2015 და 2016 წლებში ფინანსურ ანგარიშგებაში არაფინანსური აქტივების და ვალდებულებების აღრიცხვის კუთხით წარმოდგენილი ინფორმაცია უტყუარად (სწორად), სრულად და საიმედოდ ვერ ასახავს რეალურ მდგომარეობას⁶⁰.

17. რეკომენდაცია

შესაბამისი საბუღალტრო გატარებების (კორექტირებების) შემდეგ დადგენილი წესის მიხედვით უნდა განხორციელდეს ფინანსურ ანგარიშგებაში სათანადო ცვლილებების შეტანა.

სსიპ გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელა:

გამოვლენილი გარემოებები:

2016 წლის 29 ივლისს წარდგენილი 2015 წლის შესწორებული მოგების გადასახადის დეკლარაციით ირკვევა, რომ დასაბეგრმა მოგებამ შეადგინა 8,999.82 ლარი, ხოლო მოგების გადასახადი განისაზღვრა 1,349.00 ლარის ოდენობით. აღნიშნული დავალიანება ორგანიზაციის მიერ ბიუჯეტში გადახდილი არ ყოფილა⁶¹. ამასთან, 2015 წლის ბალანსში ვალდებულებების ანგარიშზე 3241-„გადასახდელი მოგების გადასახადი“ და ბალანსის დანართ ფორმა N4-ში „ანგარიში ეკონომიკური საქმიანობით მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ“ სტრიქონის კოდით 540 – „მოგების გადასახადი“ 1,349.00 ლარის ოდენობით ასახული არ ყოფილა⁶². ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2015 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ვალდებულებების აღრიცხვის კუთხით წარმოდგენილი ინფორმაცია უტყუარად (სწორად), სრულად და საიმედოდ ვერ ასახავს რეალურ მდგომარეობას⁶³.

⁵⁹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერის ბრძანება №1321 „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ 29-ე მუხლის 44-ე პუნქტი; საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტები;

⁶⁰ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტები;

⁶¹ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 155-ე მუხლის პირველი პუნქტი;

⁶² საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერის ბრძანება №1321 „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ 29-ე მუხლის მე-16 პუნქტი; საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტები;

⁶³ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტები;

18. რეკომენდაცია

შესაბამისი საბუღალტრო გატარებების (კორექტირებების) შემდეგ დადგენილი წესის მიხედვით უნდა განხორციელდეს ფინანსურ ანგარიშგებაში სათანადო ცვლილებების შეტანა.

7. წინა წლებში ჩატარებული აუდიტებით გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსწორების მდგომარეობა

მიმდინარე აუდიტით კვლავ დაფიქსირდა ისეთი ნაკლოვანებები, რომელთაც ადგილი ჰქონდა წინა პერიოდში ჩატარებული აუდიტებისას.⁶⁴ კერძოდ:

სსიპ გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელა:

- ა) სახელმწიფო შესყიდვების დოკუმენტაციის ატვირთვის ვადებთან და ხელშეკრულების მოქმედების ვადებთან დაკავშირებით;
 - ბ) შინაგანაწესის დამტკიცებასთან დაკავშირებით;
 - გ) საბუღალტრო დოკუმენტაციის - მემორიალური ორდერების შესაბამის პირველად დოკუმენტებთან ერთად აკინძვასა და გადანომვრასთან დაკავშირებით.
- სას-ის მიერ დაფიქსირებული ნაკლოვანებების მიუხედავად, მდგომარეობის გამოსწორების კუთხით მიმდინარე წელს, ისევე როგორც წინა წელს, ორგანიზაციის მიერ რაიმე სახის არსებითი ცვლილებები არ განხორციელებულა.

19. რეკომენდაცია

სას-ის მიერ გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინება უნდა მოხდეს სრულად და დროულად, რაც არსებითად შეუწყობს ხელს მართვისა და კონტროლის პროცესის გაუმჯობესებას.

აუდიტორთა ხელმოწერები:

უფროსი აუდიტორი


აუდიტორი

აუდიტორ - ასისტენტი

აუდიტორ - ასისტენტი

აუდიტორ - ასისტენტი

29 აგვისტო 2017 წელი



ბონდო გასვიანი

ავთანდილ კაპანაძე

მიხეილ გოდოლაძე

ეთერ კაცაძე

ნინო ბრეგვაძე

⁶⁴ სას-ის 2015 წლის 29 ოქტომბრის სსიპ „აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელას“ 2014 წლის ფინანსური აუდიტის დამტკიცებული ანგარიში N12/129;